

სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი - ივნისი

2021 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6 209.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20.7%-ით გაიზარდა. მათ შორის:

- ექსპორტი გაიზარდა 25,2%-ით და 1 884.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- იმპორტი გაიზარდა 18.9%-ით და 4 325.0 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 ივნისის თვეში, 2020 წლის ივნისთან შედარებით, იმპორტის ზრდის ტემპი (ზრდა 37.5%) მკვეთრად უსწრებდა ექსპორტის ზრდის ტემპს (ზრდა 30%), ჯამურად 2021 წლის იანვარ-ივნისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციები კვლავ შენარჩუნებულია. კერძოდ:

- საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წლის იანვარ-ივნისში, 2 440.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, 1.2 ერთეულით შემცირდა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.3% დაიკავა (2020/6 – 41.5%).
- ექსპორტის წილი ბრუნვაში 1.1 ერთეულით გაიზარდა და 30.3% შეადგინა (2020/6-29.2%).
- ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე), 27.6%-ით გაიზარდა და 1 377.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. ადგილობრივი ექსპორტის წილი 1.4 ერთეულით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტი შეადგინა (2020/6-71.7%).
- ამავე პერიოდში რე-ექსპორტი 19.3%-ით გაიზარდა და 507. 1 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

2021 წლის 6 თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ადგილობრივი ექსპორტი 298 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და ზრდა განხორციელდა შემდეგი პროდუქციების ხარჯზე:

- ღვინო - ექსპორტი 103,4 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 13.6% (12.4 მლნ აშშ დოლარი).
- მინერალური წყალი - ექსპორტი 66.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 34.6% (23.1 მლნ აშშ დოლარი).
- სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 42,2 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 19.5% (6.9 მლნ აშშ დოლარი).
- თხილი - ექსპორტი 34.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 82.5% (15.6 მლნ აშშ დოლარი);
- უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 27.7 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 99% (13.8 მლნ აშშ დოლარი).
- ახალი ხილი - ექსპორტი 13.1 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 134% (7.5 მლნ აშშ დოლარი);
- ცოცხალი ცხვრები - ექსპორტი 8.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 286% (6.3 მლნ აშშ დოლარი).

- თევზის ცხიმი - ექსპორტი 8.1 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 7-ჯერ (7 მლნ აშშ დოლარი);
- ფეროშენადნობები - ექსპორტი 186.3 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 59% (69.2 მლნ აშშ დოლარი).
- სპილენძის მადნები - ექსპორტი 391 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 2.5% (9.4 მლნ აშშ დოლარი).
- აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 50.4 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 4% (6.2 მლნ აშშ დოლარი).
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - ექსპორტი 35.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 81% (15.9 მლნ აშშ დოლარი).
- შავი ლითონის ჯართი - ექსპორტი 21,4 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 12.6-ჯერ (19.7 მლნ აშშ დოლარი).
- სპილენძის ჯართი - ექსპორტი 18,4 მლნ. ზრდა 159% (11.3 მლნ აშშ დოლარი);
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - ექსპორტი 35.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 81% (15.9 მლნ აშშ დოლარი).
- კოსტუმები და კომპლექტები - ექსპორტი 15.1 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 116% (8.1 მლნ აშშ დოლარი).

ჯამურად ამ ადგილობრივი პოზიციების ექსპორტი 246,5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

2021 წლის 6 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით რე-ექსპორტი 81.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და ზრდა განხორციელდა შემდეგი პროდუქციების ხარჯზე:

- მსუბუქი ავტომობილები - რე-ექსპორტი 205.4 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 12% (21.5 მლნ აშშ დოლარი).
- გამომთვლელი მანქანები - რე-ექსპორტი 15.9 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 15.9 მლნ. დოლარი. 2020.6 წელი ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო ოდენობით).
- სამრეწველო დამზადების თამბაქო - რე-ექსპორტი 13.7 მლნ. ზრდა აშშ დოლარი, 111% (7 მლნ. აშშ დოლარი).
- პოლიმერული ნაწარმი - რე-ექსპორტი 9.5 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 157% (5.8 მლნ აშშ დოლარი).
- საფეიქრო ბოჭკო - რე-ექსპორტი 6.2 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 226% (4.3 მლნ აშშ დოლარი).
- სამედიცინო ხელსაწყოები - რე-ექსპორტი 11.8 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 76% (5.1 მლნ აშშ დოლარი).
- სიგარეტები - რე-ექსპორტი 15.9 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 43% (4.9 მლნ აშშ დოლარი)
- სატვირთო ავტომობილები - რე - ექსპორტი 10.2 მლნ. აშშ დოლარი, ზრდა 45% (3.3 მლნ აშშ დოლარი).


ჯამურად რე-ექსპორტის ამ პოზიციების ექსპორტი 72.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2016-2021 (მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021/6
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 459	10 802	12 741	13 315	11 347.7	6 209.7
ზრდა %	-1%	14%	18%	5%	-14.80%	20.7%
ექსპორტი	2,117	2,746	3,380	3,798	3 342.1	1.884.7
ზრდა %	-4%	30%	23%	12%	-12%	25.2%
იმპორტი	7,342	8,057	9,362	9,517	8,005.6	4 325
ზრდა %	1%	10%	16%	2%	0.2	18.9%
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5,225	-5,311	-5,982	-5,719	-4,663.4	-2 440.3
ზრდა %	2%	2%	13%	-4%	-0.2%	10%
ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე	1,620	2,008	2,226	2,324.50	2,406.9	1 377.6
ზრდა %	1%	24%	11%	4%	4%	27.6%

ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა -2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 70.4% შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (15.2%), რუსეთი (11.8% და ჩინეთი (10.5%).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი-ივნისი

2021 წლის იანვარ-ივნისში ევროკავშირთან ბრუნვა 14%-ით გაიზარდა, 1 320.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა (2020/6 - 23%).

- **ექსპორტი** შემცირდა 3%-ით, 321.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 17% შეადგინა (2020/6-22%).
- **იმპორტი** ევროკავშირიდან 21%-ით გაიზარდა და 998.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 21% დაიკავა (2020/6- 23%).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 7%-ით (20.3 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა, 282.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 88% დაიკავა. ადგილობრივი ექსპორტის კლება განაპირობა სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტის კლებამ (კლება 26% და 54.3 მლნ. აშშ დოლარი). რეექსპორტის 12% შეადგენს: მსუბუქი ავტომობილები, სპირტიანი სასმელები, ელექტრული წყალგამაბურებლები, კოსმეტიკური საშუალებები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რეზინის საბურავები.

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 30%-ით (16.3 მლნ. აშშ დოლარით) და 71 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია შემცირდა 8%-ით (23 მლნ. აშშ დოლარით) და 260.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თხილი** - ექსპორტი 20.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28% და 4.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 38% (ზრდა 73%), იტალია 21% (კლება 11%), ლიეტუვა 10% (ზრდა 111%).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 13.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 44% და 4.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 61% (ზრდა 40%), ნიდერლანდები 12% (ზრდა 87%), ლატვია 5% (კლება 4%).
- **ღვინო** - ექსპორტი 13.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 29% და 3.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 44% (ზრდა 32%), ლატვია 16% (ზრდა 12%), გერმანია 11% (ზრდა 16%), ლიეტუვა 9% (ზრდა 56%).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 9.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16% და 1.3 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტის 92% განხორციელდა ლიეტუვაში (ზრდა 10%) და გერმანიაში 4% (წინა წელს განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).
- **ხილ-ბოსტნეულის კონსერვები** - ექსპორტი 2.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 0.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 64% (ზრდა 21%), საფრანგეთი 11% (ზრდა 2- ჯერ), პოლონეთი 9% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 1.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 85% და 0.6 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 64% (ზრდა 168%), უნგრეთი 9% (ზრდა 1%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 17.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59% და 6.4 მლნ. აშშ დოლარი).
ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 51% (ზრდა 19%), ლიეტუვა 17%, ესპანეთი 6% (ზრდა 12%), ლიეტუვა 13% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 10 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42% და 3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 86% (ზრდა 82%), გერმანია 4% (კლება 39%).
- **ძვირფასი ლითონის ჯართი** - ექსპორტი 14.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 317% და 10.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 81% (ზრდა 4-ჯერ), იტალია 17% (ზრდა 4-ჯერ).
- **ელექტრული წყალგამახურებლები** - ექსპორტი 3.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 201% და 2.6 მლნ. აშშ დოლარი). პროდუქციის 92%-ის ექსპორტი განხორციელდა საფრანგეთში.
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 12.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 84% და 5.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 35% (ზრდა 3-ჯერ), ნიდერლანდები 17% (ზრდა 3-ჯერ), ესპანეთი 18% (ზრდა 1%).
- **ცხოველების სახლები** - ექსპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 53% და 3.1 მლნ. აშშ დოლარი), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 43% (ზრდა 49%), გერმანია 20% (ზრდა 16%), ბელგია 17% (ზრდა 141%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 36% და 0.4 მლნ. აშშ დოლარი). ექსპორტი თითქმის სრული მოცულობით განხორციელდა საბერძნეთში.
- **ძვირფასი ლითონის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა. წინა წელს განხორციელდა 1.9 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი ბულგარეთში.
- **სპილენძის მადნები და კონცენტრატები** - ექსპორტი 154.3 მლნ. აშშ დოლარი (კლება 26% და 54.3 მლნ. აშშ დოლარი). საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი 78% (კლება 24%), ესპანეთი 22% (კლება 20%), რუმინეთში ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა (2020/6 – 8.2 მლნ. აშშ დოლარი).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 11%-ით გაიზარდა (14.5 მლნ აშშ დოლარით) და 142.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო** პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 22%-ით (160.7 მლნ აშშ დოლარით) და 895.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგი პროდუქციის ხარჯზე:

- **შაქარი** - იმპორტი 7.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 72% და 3.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 70% (ზრდა 31%), გერმანია 14% და ნიდერლანდები 8% (წინა წლის ამავე პერიოდში ამ ქვეყნებში იმპორტი თითქმის არ განხორციელებულა), საფრანგეთი 7% (ზრდა 72%).
- **საკვები ინგრედიენტები** - იმპორტი 11.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 22% და 2.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 24% (ზრდა 35%), პოლონეთი 11% (ზრდა 113%), ბულგარეთი 9% (ზრდა 26%), იტალია 11% (კლება 4%).
- **ძეხვი და ხორცპროდუქტები** - იმპორტი 1.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 19% და 0.24 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 52% (ზრდა 3%), ესპანეთი 20% (ზრდა 95%), გერმანია 15% (ზრდა 54%).
- **ნავთობი და ნავთობპროდუქტები** - იმპორტი 125.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59% და 46.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 58% (ზრდა 60%), ბულგარეთი 27% (ზრდა 99%), გერმანია 3% (ზრდა 85%), იტალია 2% (წინა წლის ამ პერიოდში იმპორტი თითქმის არ განხორციელებულა), საბერძნეთი 5% (კლება 35%).
- **ცხოველის საკვები** - იმპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 16% და 1.2 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 13% (ზრდა 21%), საფრანგეთი 11% (ზრდა 58%), გერმანია 11% (ზრდა 69%), იტალია 10% (ზრდა 10%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 30%), ესპანეთი 20% (კლება 2%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - იმპორტი 57.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 32% და 13.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 59% (ზრდა 51%), ჩეხეთი 7% (ზრდა 5-ჯერ), პოლონეთი 4% (ზრდა 111%), ბელგია 4% (ზრდა 7%), შვედეთი 3% (ზრდა 128%), იტალია 2% (ზრდა 160%), გაერთიანებული სამეფო 11% (კლება 40%).
- **სატვირთო ავტომობილები** - იმპორტი 37.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 134% და 21.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 40% (ზრდა 84%), იტალია 25% (ზრდა 10-ჯერ), ნიდერლანდები 10% (ზრდა 31%), პოლონეთი 7% (ზრდა 116%), საფრანგეთი 5% (ზრდა 3-ჯერ), ბელგია 6% (ზრდა 93%).
- **რეაგენტები ლაბორატორიული** - იმპორტი 12.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 151% და 7.7 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 46% (ზრდა 161%), ნიდერლანდები 27% (ზრდა 183%), საფრანგეთი 11% (ზრდა 119%).
- **სამკურნალო საშუალებები** - იმპორტი 104.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 12% და 11.4 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 20% (ზრდა 11%), საფრანგეთი 15% (ზრდა 44%), უნგრეთი 15% (კლება 2%), სლოვენია 7% (ზრდა 11%), გაერთიანებული სამეფო 6% (ზრდა 94%).
- **სატელეფონო აპარატები** - იმპორტი 16.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27% და 3.5 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ჩეხეთი 73% (ზრდა 133%), გერმანია 6% (ზრდა 157%)

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **ფრინველის ხორცი** - იმპორტი 8.2 მლნ. აშშ დოლარი (კლება 3% და 0.3 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 22% (კლება 45%), საფრანგეთი 15% (კლება 6%), ნიდერლანდები 34% (ზრდა 74%).
- **კარაქი** - იმპორტი 4.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 45% და 4.0 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 39% (კლება 44%), ირლანდია 2% (კლება 88%), ბელგია 8% (კლება 77%), ფინეთი 29% (ზრდა 5%).

საქართველო - დსთ-ს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2021 წლის იანვარი-ივნისი

2021 წლის 6 თვეში საქართველო-დსთ სავაჭრო ბრუნვა 20,5 %-ით გაიზარდა და 2 146.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 34.5% დაიკავა, **ექსპორტი** გაიზარდა 33%-ით, 866.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტში 46% დაიკავა. **იმპორტი** გაიზარდა 13.7%-ით და 1 280.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს იმპორტის 29.6% დაიკავა.

დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტმა 462.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 42% მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. რე-ექსპორტი გაიზარდა 24%-ით და 404 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ადგილობრივი ექსპორტი ღვინის, მინერალური წყლის, უალკოჰოლო სასმელების თხილის, ფეროშენადნობების ხარჯზე განხორციელდა. ხოლო რე-ექსპორტის ზრდა მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების ხარჯზე განხორციელდა.

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 40%-ით გაიზარდა და 341.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 29%-ით გაიზარდა და 524,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 54 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 39%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (ზრდა 59%), უკრაინა 24% (ზრდა 37%), ბელარუსი 6% (კლება 7%), ყაზახეთი 5% (კლება 6%).
- **ღვინო** - ექსპორტი 77.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 77% (ზრდა 10%), უკრაინა 13% (ზრდა 6%), ყაზახეთი 6% (ზრდა 68%), ბელარუსი 8% (კლება 22%).

- **უალკოჰოლო სასმელები** - ექსპორტი 23.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 83%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 30% (ზრდა 7-ჯერ), აზერბაიჯანი 16% (ზრდა 19%), უკრაინა 8% (ზრდა 223%), სომხეთი 9% (ზრდა 63%).
- **თხილი** - ექსპორტი 10.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 5-ჯერ), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 55% (ზრდა 105%), ბელარუსი 22% (ზრდა 120%), სომხეთი 22% (ზრდა 19-ჯერ).
- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 46.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 20%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 34% (ზრდა 105%), უკრაინა 42% (ზრდა 120%), სომხეთი 10% (ზრდა 5-ჯერ).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 14.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 57% (ზრდა 9%), რუსეთი 39% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელდა მხოლოდ ზრდა 120 ათასი აშშ დოლარის ექსპორტი).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 5.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 183%). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა აზერბაიჯანში.
- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 88%). საექსპორტო ბაზრები აზერბაიჯანი 97% (ზრდა 87%), სომხეთი 3% (ზრდა 150%).
- **ციანიდები** - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36%), საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 92% (ზრდა 235%), სომხეთი 8% (კლება 82%).
- **ფეროშენადნობი** - ექსპორტი 78 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 48%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 93.5% (ზრდა 48%), აზერბაიჯანი 4% (ზრდა 37%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 187.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 61% (კლება 1%), უკრაინა 24% (ზრდა 59%), რუსეთი 4% (ზრდა 30%).
- **სატვირთო ავტომობილები** - ექსპორტი 9.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 45%). ძირითად საექსპორტო ბაზარი აზერბაიჯანი 86% (ზრდა 124%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო კოზიციებზე:

- **ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის** - ექსპორტი 5.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 16%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები აზერბაიჯანი 86% (კლება 24%), თურქმენეთი 11% (ზრდა 68%).
- **სამკურნალო საშუალებები** - ექსპორტი 38.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 48% (კლება 68%), სომხეთი 8% (კლება 18%), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 34%), რუსეთი 8% (კლება 46%).
- **აზოტოვანი სასუქები** - ექსპორტი 159.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 14% (კლება 49%), უკრაინა 61% (ზრდა 7%), სომხეთი 25% (ზრდა 25%).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო** პროდუქციის იმპორტი 1%-ით შემცირდა და 276.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 18%-ით გაიზარდა და 1 003.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

- **საკონდიტრო ნაწარმი** - იმპორტი 15.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 17%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 65% (ზრდა 13%), უკრაინა 29% (ზრდა 28%).
- **მცენარეული ზეთი** - იმპორტი 25.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 87% (ზრდა 30%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 68%).
- **სიგარეტები** - იმპორტი 32.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 33%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 85% (ზრდა 32%), სომხეთი 12% (ზრდა 16-ჯერ).
- **სპილენძის მადნები** - იმპორტი 198.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 29%). იმპორტის სრული მოცულობა სომხეთიდან განხორციელდა (ზრდა 34%). აზერბაიჯანი იმპორტი 100%-ით და 5.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.
- **ნავთობი** - 190 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%) იმპორტიორი ქვეყნები: თურქმენეთი 42% (ზრდა 115%), აზერბაიჯანი 26% (ზრდა 97%), რუსეთი 31% (კლება 7%).


იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

- **ხორბალი** - იმპორტი 32/5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 18%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 98% (კლება 19%), ყაზახეთი 2% (წინა წელს ამ ქვეყნიდან იმპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).
- **სიმინდი** - იმპორტი 8.0 მლნ. აშშ დოლარი (კლება 40%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 98% (კლება 39%), უკრაინა 2% (კლება 65%).
- **ნავთობის აირები** - იმპორტი 168 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 63% (კლება 29%), რუსეთი 30% (ზრდა 169%).
- **არმატურა** - იმპორტი 193 მლნ. აშშ დოლარი (კლება 11%). იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 41% (კლება 46%), აზერბაიჯანი 46% (ზრდა 62%) რუსეთი 13% (ზრდა 55%).

საქართველოს ექსპორტი


2021 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.9% შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (289.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (263.7 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (244.4 მლნ. აშშ დოლარი).

ძირითადი პარტნიორები ექსპორტის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



2021 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 391.0 მლნ. აშშ დოლარით. მეორე ადგილზე - ავტომობილები - 205.4 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები - 186.3 მლნ. აშშ დოლარით.

10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილი ექსპორტში



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 31%-ით გაიზარდა და 490.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 23%-ით და 1 394 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თხილი** - ექსპორტი 35.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 89%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 22% (ზრდა 73%), იტალია 12% (კლება 11%), რუსეთი 9% (ზრდა 7.5-ჯერ), ლიეტუვა 8% (ზრდა 111%), ბელარუსი 6% (ზრდა 120%), სომხეთი

6% და საუდის არაბეთი 6% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი ამ ქვეყნებში უმნიშვნელო რაოდენობით განხორციელდა).


- **სპირტიანი სასმელები** - ექსპორტი 69 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 29%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უკრაინა 28% (ზრდა 25%), რუსეთი 23% (ზრდა 11%), საფრანგეთი 12% (ზრდა 42%), სინგაპური 8% (ზრდა 53%), სომხეთი 7% (ზრდა 4-ჯერ).
- **მინერალური წყალი** - ექსპორტი 66.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 46% (ზრდა 59%), უკრაინა 20% (ზრდა 37%), ლიეტუვა 13% (ზრდა 10%), ბელარუსი 5% (კლება 7%), აშშ 3% (ზრდა 93%).
- **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** - ექსპორტი 9.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 132%). საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 55% (ზრდა 183%), ერაყი 45% (ზრდა 90%).
- **უალკოჰოლო გაზიანი სასმელები** - ექსპორტი 28.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 98%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 46% (ზრდა 105%), აზერბაიჯანი 13% (ზრდა 9%), ისრაელი 8% (ზრდა 8-ჯერ), უკრაინა 7% (ზრდა 223%).
- **სიგარეტები** - ექსპორტი 15.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 44%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 52% (ზრდა 9%), რუსეთი 35% (ზრდა 52-ჯერ).
- **ხილ-ბოსტნეულის წვენები** - ექსპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 65%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 30% (ზრდა 11-ჯერ), გერმანია 16% (ზრდა 168%), აშშ 16% (კლება 12%).
- **ღვინო** - ექსპორტი 104.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 14 %) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 57% (ზრდა 10%), უკრაინა 10% (ზრდა 6%), ჩინეთი 7% (ზრდა 10%), პოლონეთი 6% (კლება 32%), ყაზახეთი 4% (ზრდა 68%).
- **სპილენძის მადნები** - ექსპორტი 391 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 2%) საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 60% (ზრდა 30%), ბულგარეთი 31% (კლება 24%), ესპანეთი 9% (კლება 20%).
- **ფეროშენადნობები** - ექსპორტი 186.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 58%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 39% (ზრდა 48%), აშშ 30% (ზრდა 49%), თურქეთი 12% (ზრდა 13%), კანადა 3% (ექსპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).
- **ტრიკოტაჟის ნაწარმი** - ექსპორტი 36 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 81%) ექსპორტის 99% განხორციელდა თურქეთში.
- **ხის ნაწარმი (ცხოველების სახლები)** - ექსპორტი 8.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 49%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 43% (ზრდა 49%), გერმანია 20% (ზრდა 16%), ბელგია 17% (ზრდა 141%), ნიდერლანდები 9% (ზრდა 64%).
- **ავტოვანი სასუქები** - ექსპორტი 50.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 14%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუმინეთი 17% (ზრდა 19%), ტუნისი 14% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), უკრაინა 19% (კლება 7%), მაროკო 6% (ზრდა 64%), სომხეთი 8% (ზრდა 14%).
- **მსუბუქი ავტომობილები** - ექსპორტი 205.4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 12%) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: აზერბაიჯანი 55% (კლება 1%), უკრაინა 22% (ზრდა 59%), რუსეთი 4% (ზრდა 30%).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

- **თევზის ცხიმი** - ექსპორტი 8/1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 53%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 72% (კლება 38%), პერუ 27% (კლება 65%).
- **თევზის ფქვილი** - ექსპორტი 14.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 25%) ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 44% (კლება 28%), სომხეთი 36% (ზრდა 87%), ტაივანი 8% (კლება 49%).
- **ოქრო** - ექსპორტი 29,4 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 34%) საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 94% (კლება 35%), გერმანია 3% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა), ემირატები 2% (კლება 39%).
- **მედიკამენტები** - ექსპორტი 42.9 მლნ. აშშ დოლარი (კლება 6%) ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: უზბეკეთი 43% (კლება 8%), აზერბაიჯანი 19% (ზრდა 34%), სომხეთი 8% (კლება 18%), ყირგიზეთი 6% (ზრდა 66%).


საქართველოს იმპორტი

2021 წლის 6 თვეში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 68.5% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (779.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (466.1 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (362.8 მლნ. აშშ დოლარი).



2021 წლის იანვარ-ივნისში უმსხვილეს საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში პირველ ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 371.4 მლნ. აშშ დოლარით, მეორე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 335.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 327.2 მლნ. აშშ დოლარით.

10 ძირითადი საიმპორტო პროდუქციის წილი იმპორტში



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 5%-ით და 597.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამრეწველო პროდუქციის იმპორტი გაიზარდა 21%-ით და 3 727.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

მცენარეული ზეთი - იმპორტი 26 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 34%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 87% (ზრდა 30%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 68%).

სიგარეტები - იმპორტი 36.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 40%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 74% (ზრდა 32%), სომხეთი 11% (ზრდა 164%), საამიროები 5% (წინა წელს ექსპორტი 291 ათასი აშშ დოლარი).

შოკოლადის ნაწარმი - იმპორტი 21.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 19%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 45% (ზრდა 13%), უკრაინა 20% (ზრდა 28%), თურქეთი 10% (ზრდა 52%).

მსუბუქი ავტომობილები - 371.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 5%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: აშშ 62% (ზრდა 13%), იაპონია 16% (კლება 27%), გერმანია 9% (ზრდა 51%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 327.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 41%) ძირითადი იმპორტიორი ბაზრები: თურქმენეთი 24% (ზრდა 115%), რუმინეთი 22% (ზრდა 62%), რუსეთი 18% (კლება 7%), აზერბაიჯანი 15% (ზრდა 97%).

სამკურნალო საშუალებები - 174 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 9%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 14% (ზრდა 11%), თურქეთი 14% (კლება 5%), საფრანგეთი 9% (ზრდა 44%), უნგრეთი 9% (კლება 2%).

სატელეფონო აპარატები - 94 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ემირატები 28% (კლება 18%), რუსეთი 21% (ზრდა 75%), ჰონგ-კონგი 26% (ზრდა 243%), ჩინეთი 4% (ზრდა 9%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 336 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36%) იმპორტიორი ქვეყნები: სომხეთი 59% (ზრდა 34%), ჩილე 15% (ზრდა 97%), ინდონეზია 18% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ბრაზილია 8% (ზრდა 28%).

ნავთობის აირები - 168 მლნ. აშშ დოლარი (კლება 5%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 63% (კლება 29%), რუსეთი 30% (ზრდა 169%).

საბურღი მანქანები - 43.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 268%) იმპორტის 96% განხორციელდა ჩინეთიდან.

იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

ხორბალი - იმპორტი 37.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 6%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 87% (კლება 19%), აშშ 12% და ყაზახეთი 1% (წინა წელს ამ ქვეყნებიდან იმპორტი წინა წელს არ განხორციელებულა).

ფრინველის ხორცი - იმპორტი 26.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 17%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: თურქეთი 30% (ზრდა 12%), ნიდერლანდები 11% (ზრდა 74%), ბრაზილია 16% (კლება 45%), უკრაინა 10% (კლება 20%), გერმანია 7% (კლება 45%), აშშ 5.7% (კლება 12%), ჩინეთი 5.5% (კლება 40%).

თევზი გაყინული - იმპორტი 9.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 31%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ისლანდია 14% (კლება 58%), აშშ 14% (კლება 15%), დანია 13% (ზრდა 287%), ნორვეგია 8% (კლება 52%).

ნაღების კარაქი, რძის პასტები - იმპორტი 12.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 11%) ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 24% (კლება 18%), საფრანგეთი 15% (კლება 44%), ფინეთი 11% (ზრდა 5%).

**2021 იანვარ-ივნისის საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)**

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
საგარეო ვაჭრობა - სულ	1,884,702	4,325,038	6,209,739
ევროკავშირის ქვეყნები	321,339	998,939	1,320,278
ავსტრია	692	17,893	18,585
ბელგია	10,979	38,648	49,627
ბულგარეთი	123,734	65,375	189,109
გერმანია	25,247	207,215	232,462
დანია	954	9,867	10,821
ესპანეთი	41,175	48,749	89,924
ესტონეთი	1,326	3,691	5,016
ირლანდია	1,041	5,557	6,598
იტალია	15,878	117,370	133,248
კვიპროსი	113	1,094	1,207
ლატვია	5,221	13,157	18,378
ლიეტუვა (ლიტვა)	28,181	17,900	46,081
ლუქსემბურგი	-	1,254	1,254
მალტა	124	3,600	3,723
ნიდერლანდი	13,708	68,026	81,734
პოლონეთი	14,847	76,743	91,590
პორტუგალია	359	5,018	5,377
რუმინეთი	10,207	91,882	102,089
საბერძნეთი	2,616	16,429	19,045
საფრანგეთი	19,603	84,810	104,414
სლოვაკეთი	352	6,698	7,050
სლოვენია	109	13,848	13,958
უნგრეთი	311	21,845	22,156
ფინეთი	493	9,026	9,519
შვედეთი	431	6,665	7,096

ჩეხეთი	3,421	43,514	46,935
ხორვატია	218	3,064	3,282
დსთ-ს ქვეყნები	866,477	1,280,331	2,146,808
აზერბაიჯანი	244,376	248,872	493,248
ბელარუსი	24,273	24,861	49,134
თურქმენეთი	6,769	87,761	94,531
მოლდოვა	8,790	6,005	14,795
რუსეთი	263,745	466,056	729,801
სომხეთი	101,099	231,305	332,404
ტაჯიკეთი	6,153	-	6,153
უზბეკეთი	34,053	13,941	47,993
უკრაინა	137,864	191,407	329,271
ყაზახეთი	28,731	9,345	38,076
ყირგიზეთი	10,626	778	11,403
დანარჩენი ქვეყნები	696,885	2,045,768	2,742,653
ავსტრალია	650	616	1,266
ავღანეთი	350	14	364
ალბანეთი	50	334	384
ალჟირი	-	59	59
არაბთა გაერთიანებული საამიროები	9,346	50,942	60,288
არგენტინა	1,396	4,162	5,558
აშშ	65,722	267,904	333,625
ახალი ზელანდია	-	917	917
ბანგლადეში	310	1,167	1,477
ბაჰრეინი	14	-	14
ბელიზი	-	18	18
ბოსნია და ჰერცეგოვინა	-	152	152
ბრაზილია	5,219	58,312	63,531
ბურკინა-ფასო	863	-	863
ბუტანი	31	-	31

გაბონი	-	4,886	4,886
გაერთიანებული სამეფო	10,087	39,081	49,169
განა	116	70	185
ეგვიპტე	43	4,618	4,662
ეთიოპია	19	0	20
ეკვადორი	214	9,283	9,497
ერაყი	5,958	1,278	7,236
ვენესუელა	150	-	150
ვიეტნამი	353	4,210	4,562
ვირჯინის კუნძულები ბრიტანეთი	-	1,017	1,017
თურქეთი	164,473	779,603	944,075
იაპონია	10,621	70,334	80,955
იემენი	3	-	3
ინდოეთი	1,390	27,374	28,764
ინდონეზია	5	58,181	58,186
იორდანია	360	145	505
ირანი	11,008	53,016	64,023
ისლანდია	-	1,595	1,595
ისრაელი	9,933	5,255	15,188
კამერუნი	-	225	225
კანადა	8,189	9,165	17,354
კენია	515	233	747
კოლუმბია	2,644	50	2,694
კორეა რესპუბლიკა	3,395	33,124	36,519
კოსტა-რიკა	17	91	108
კუბა	21	74	94
ლაოსი	-	15	15
ლიბანი	-	1,170	1,170
ლიბია	494	-	494
ლიხტენშტაინი	-	111	111

მავრიტანია	16	-	16
მაკაუ	11	-	11
მაკედონია	79	582	661
მალავი	-	370	370
მალაიზია	339	9 233.7	339
მალი	558	-	558
მაროკო	3,132	33	3,165
მარშალის კუნძულები	455	-	455
მექსიკა	322	4,453	4,775
მოზამბიკი	19	-	19
მონაკო	3	4	7
მონტენეგრო	-	502	502
მონღოლეთი	1,051	-	1,051
ნეპალი	-	2	2
ნიგერი	1	1	2
ნიგერია	215	26	241
ნორვეგია	160	3,237	3,397
ომანი	163	515	678
პაკისტანი	54	1,120	1,174
პანამა	17	5	22
პარაგვაი	216	3 117.2	216
პერუ	7,433	253	7,686
პუერტო-რიკო	50	-	50
სამხრეთი აფრიკა	145	2,222	2,367
სან-მარინო	-	201	201
საუდების არაბეთი	11,763	267	12,029
საფრანგეთის პოლინეზია	-	22	22
საფრანგეთის სამხრეთი ტერიტორიები	-	392	392
სეიშელები	-	286	286
სენეგალი	45	-	45

სერბეთი	12	4,436	4,448
სინგაპური	9,708	3,504	13,212
სირია	400	116	517
სომალი	19	-	19
სუდანი	117	-	117
ტაივანი ჩინეთის პროვინცია	1,621	4,036	5,657
ტაილანდი	377	7,817	8,194
ტანზანია	3,481	-	
ტუნისი	6,881	235	7,116
უგანდა	-	127	127
ურუგვაი	729	1,570	2,299
ფარერის კუნძულები	-	25	25
ფილიპინები	1,119	164	1,283
ქუვეითი	1,052	11	1,063
ყატარი	763	882	1,645
შვეიცარია	35,698	40,951	76,649
შრი-ლანკა	1	1,054	1,055
ჩადი	7	-	7
ჩილე	3,644	51,194	54,838
ჩინეთი	289,873	362,775	652,648
ჰონ-კონგი	1,183	51,229	52,412